# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 170
წელიწადი მეორე
1913
შაბათი, 19 ოქტომბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალაქის თეატრი

ვირას, 20 ოქტომბერს გაიმართება პირველი ქართული სიმფონიური

## კონცერტი

## კ. ფოცხვერაშვილისა.

პ რ ო გ რ ა მ ა:

I.

ქართული მუსიკა და მისი ჰარმონია კონტრაპუნკტი, წაიკითხავს **კ. ფოცხვერაშვილი.**

II.

1) პირველი რაპსოდია კ. ფოცხვერაშვილისა. 2) ნუმრები მ. ბალანჩივაძის ოპერიდან: —„თამარ ცბიერი“. 3) „თქმულება ამირანზე“ (ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან) სიმფონიური ესკიზი (სიუტა) კ. ფოცხვერაშვილისა. 4) ქართული ეროვნული სიმღერები შემუშავებული ხოროსა და ორკესტრისათვის კ. ფოცხვერაშვილის-მიერ. 5) ქართული მარში და სიმფონიური ნუმრები მ. იპოლიტოვი-ივანოვის ოპერიდან: „ღალატი“.

III.

სხვადასხვა ნუმრები კ. ფოცხვერაშვილის ოპერიდან:—„კერპთთა დამხობა.“ 1) ქურუმთა და ქურუმ ქალთა სალვთო როკვა. 2) ფინალი (ქექა-ქუხილის სცენა). 3) არია (ლოცვა) ქურუმ ქალისა. 4) „დიდება არმაზსა“ (ჰიმნი). 5) ქართული ეროვნული სიმღერები კ. ფოცხვერაშვილისა. მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ნ. ა. ვესელოვზოროვისა (სოპრანო) (შეასრულებს ხოროსთან ერთად ქურუმ-ქალის არიას), თფილისის ახალი კლუბის სიმებიანი ორკესტრი, ქუთაისის ქართველ მომღერალთა საზოგადოების ქალვაჟთა გუნდი და სხვანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ბილეთები იყიდება ბ-ნი თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

**დირიჟორი კ. ფოცხვერაშვილი.**

15 ოქტომბერს გარდაიცვალა სტუდენტი

## ალექსანდრე ავალიანი

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის დედა პელაგია ავალიანისა, ძმები კონსტანტინე და გრიგოლი, დები მარიამ კანდელაკისა ნინო, სოფიო და თამარი, ბიძა ბიქტორ ავალიანი და ბიცოლა გუგული ავალიანისა სიძე მელქისედეკ კანდელაკი და მამიდაშვილი ლიზა გრიგოლიასი. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ სახ. არქიელის გორაზე. გამოსვენება კვირას, 20 ოქტომბერს დილის 10 ს. დაკრძალვა სოფ. ოფირჩხეთში ამავე რიცხვს.

## ქართული თეატრი.

აბათს, 19 ოქტომბერს თფილისის ქართულის დრამატიულის დასის მიერ ტასო აშიძის, ნ. დავითაშვილის, ე. ჩერქეზიშვილისა და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

### გადაჭრილი მუხა.

**ახალი პიესა 4 მოქ. ვალ. შალიკაშვილისა.**

**რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ქუთ. დრამატ. საზოგ. ადმინისტრაცია.**

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

## ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

| | |
|---|---|
| დ ი ლ ი თ. | |
| ი. **ჯაფარიძე**—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. | 8—10 |
| ს. **ნადირაძე**—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. **რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| დ. **ბეთანოვი**—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ა. **წოდოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½ 2 |
| ს ა ღ ა მ ო თ | |
| დ. **ქორქაშვილი**—თვალის | 4½—5½ |
| ა. **წოდოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6½ |

ურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარს, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 6—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი.** წ.

ხლათ გამოშვებული პაპიროზები

## „დელი-ბაზ“

ცალი 6 კაპ. 25 ცალი 15 კ. იყიდება ყველგან.

როზები კეთდება გამორჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს. თუნის ქარხანა **„ბინიატ-ოღლისა“** ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

## ფილისის საპოლიტექნიკო კურსები,

## ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

ყოფილებანი: სამიწის-მზომელო, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და ერციული. სამიწის-მზომელო და საამშენებლო განყოფილებებზე მსურველთ ბენ. მეცადინეობა 1 ოქტომბერს დაიწყება. პროგრამისა და პირობებისათვის როა 4 შვიდკაპიკიანი მარკა. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება საღამ. 4 8 ს., თხოვნების მიღება გძელდება **დუშეთის ქ. № 4, ბინა მე-2.**

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთის და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდან და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი **ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწვდომია და უვიჭროთ.**

პატივისცემით **ა. ახვლედიანი.** № 3.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

## პაროსი

25 ცალი 3 შ.
10 — 6 კ.

იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.** თფილისში.

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდ ყვირულ“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცქა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტ, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

## მ. გალანჩივაძისამ

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ საწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**აქიმი** ი. **ჩარექოვი** იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**აქიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს **(შინაგანი, ვენერიული, კანის)** ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმი** გ. ა. **მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

## ლაბა ზესტაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**აქიმი** ვ. ა. **ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

**აქიმი** დ. **ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმმა** ბ. ა. **მირექოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

## პირველი სხდომა,

უკვე დაიწყო სათათბიროს სხდომები. კადეტთა ლიდერმა მილიუკოვმა პირველი სიტყვა მთავრობის მიერ პრესის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების შესახებ წარმოსთქვა. პირველი შეკითხვა ბეჭდვითი სიტყვის, ეს დევნას შეეხებოდა, რომელთან დაკავშირებულია ბეილისის საქმეც. პირველი სხდომა ბევრი მხრით იყო საინტერესო. მას უნდა დაენახებია, თუ როგორი ნაბიჯი გადასდ ეს ,,მემარცხენეობისაკენ‘‘ ოკტომბრისტებმა, სათათბიროს ჭრელი შედგენილობის უმრავლესობა როგორ უყურებს მეოც საუკუნის პროვოკაციას, აგრეწოდებულ ბეილისის საქმეს და რუსეთის „პარლამენტი‘‘ ვით ეგუება უნიადაგო და უშინაარსო ცილისწამებას, ან კანონმდებელთა შედგენილობა როგორი თვალით უყურებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას. აღარვისთვის საიდუმლოს არ შეადგენს ის გარემოება, რომ 17 ოკტომბრის მიერ ბოძებული ,,სიტყვის თავისუფლება‘‘ სიტყვით იყო ბოძებული და არსებითად მას ცხოვრებაში განხორციელება არ ეღირსა, მის მსვლელობას დაბადების პირველი დღიდანვე გზა შეუკრეს და ფრთები შეაკვეცეს. როგორც ყველაფერი რუსეთში, ისე ბეჭდვითი სიტყვაც და განსაკუთრებით პრესა, ადმინისტრაციის ბჭყალებში მოამწყვდიეს, „გაუქმებული ცენზურის“ ნაცვლათ უფრო სასტიკი ცენზორები მიუჩინეს ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სახით. განსაკუთრებით ბეილისის საქმეში ხომ პრესის დევნამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. დაუწყეს დევნა ყოველ ბეჭდვითი ორგანოს, რომელიც კი გაბედავდა ხსენებული პროცესის შესახებ ხმა დაეძრა და „ჭეშმარიტ რუსთა“ ინსინუაციები და ცრუმორწმუნეობა არ გაეზიარებია.

პრესის დევნამ ზღაპრული სახე მიიღო, მდევნელთა ერთგულება საკარიკატურო მასალათ გადაიქცა და ბეილისის საქმეში რუსეთის მართველთა მოქმედებამ ხომ ყოველივე „კარიკატურას“ გადააჭარბა და „ზომიერი გონიერების“ პარტიისთვისაც კი იგი „ყბათ ასაღები და წყალწასაღები“ შეიქნა. კადეტებმა პირველი შეკითხვა, პირველი თავისი სიტყვა თავისი პირველი და საუკეთესო წარმომადგენლის პირით პრესის დევნასა და ბეილისის საქმესთან დაკავშირებულს საზიზღარ ცილისწამებას უძღვნეს. მერე როგორ შეხვდა ამ მოვლენას სათათბიროს უმეტესობა, მილიუკოვის პროტესტს ვინ გამოუცხადა თანაგრძნობა ამ საკანონმდებლო დაწესებულების კედელთა შორის?

ვინა და—მხოლოდ მემარცხენე ოპოზიციამ, მემარჯვენენი კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, რეპრესიათა დამცველებათ გამოვიდენ და ცენტრმა, როგორც ყოველთვის, პილატესავით ხელები დაიბანა. თუმცა შეკითხვა ხმის უმრავლესობით იქნა მიღებული, და შეკითხვის მიმღებ ხმებში ოქტომბრისტებიც ერიან, მაგრამ... არც ამ შემთხვევაში ჩაუვლია საქმეს უკომენტარიოთ და ოქტომბრისტებმა ბენიგსენის პირით განაცხადეს: ,,ოქტომბრისტები შეკითხვის საჩქაროთ განხილვას მხარს დაუჭერენ, მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებშიო"..

რა სურდათ ეთქვათ ოქტომბრისტებს ამით! რა საჭირო იყო კომენტარიები და ლაპარაკი რაღაც ,,ფარგლებზე'', ან რა უნდოდა ეთქვა ამით ,,ყურმოჭრილ'' ცენტრს? ცხადია, ოქტომბრისტები საჭიროთ სთვლიან პრესის ახლანდელი მდგომარეობა შეიცვალოს, მათი აზრით პრესას რეფორმა სჭირია, მხოლოდ ეს რეფორმები ,,ზომიერებას'' მოკლებული არ უნდა იყოს. ე. ი. პრესას შეუძლია ქრონიკაში აღნიშნოს, რომ კიევის სასამართლოში ბეილისის საქმე ირჩევა და ნება არ აქვს, მეთაურ წერილში გაარკვიოს იმ პროვოკაციის მომაკვდინებელი მნიშვნელობა, რომელიც ბეილისს მოახვიეს თავზე, შეგიძლიათ დასწეროთ, რომ ,,ვერცერთი განათლებული მხარე უსასამართლოთ ვერ გასძლებს ბ ამიტომ სასამართლოს პრესტიჟს არ უნდა ბღალავდენ" თუნდა რუსეთშიც, მაგრამ უფლება არ გაქვს დასწერო, რომ არც ერთი განათლებული მხარე თავის კეთილდღეობას ცრუმორწმუნეობასა და უკულტურობაზე არ ამყარებს, რომ არცერთს განათლებულ სახელმწიფოში სასამართლო ცილისწამებასა და ბრმა ფანატიზმს არ აკანონებს. ბენიგსენმა სთქვა: „კიევის ნაფიც მსაჯულთა „ჭრელი შედგენილობა" შესძლებს სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანოსო", მაგრამ არ უთქვამს, რომ ამ შემთხვევაში „სამართლიანი გადაწყვეტილება" მხოლოდ ბეილისის გამართლება იქნება, პირიქით, როგორც საერთოდ ოქტომბრისტთა მთელი მოქმედე იდან, ისე ბენიგსენის სიტყვებიდანაც ის გამოსჭვიოდა, რომ ცენტრი სამართლიანათ იმას სთვლის, რაც ოფიციალურს წყაროებს მიაჩნია სიმართლეთ, მათთვის კანონიერი იქნება კიევის სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველ შემთხვევაში, ბეილისს გაამართლებს იგი თუ გაამტყუნებს: ამგვარათ მას არა სურს დაშორდეს ოფიციალურ რუსეთს, სურს მასთან ხელიხელ ჩაკიდებული იაროს, მას არა სურს დაკარგოს არც „ძველი გზა", არც „ძველი მეგობარი", ჩვეულებრივ ჰანგზე გასძახის და ამას შემდეგ „ნეტარ არიან მორწმუნენი", რომელნიც მათგან სახეირო რასმე მოელიან, რომელნიც სიზმრათ მაინც ხედვენ „ყურმოჭრილ ოქტომბრისტთა" მარცხნით გადახრას.

**იმერი.**

# ახალი ამბავი.

✦ დეპუტატი ვ. გელოვანი შორაპნის მაზრიდან ხუთშაბათს, დილის 10 საათზე დაბრუნდა ქუთაისს და საღამოს 4 საათზე ფოთს გაემგზავრა.

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის რეპეტიცია თფილისის ახალი კლუბის ორკესტრით გაიმართება დღეს 19 ოქტომბერს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში საღამოს შვიდ საათზე. გარეშე პირთათვის რეპეტიციაზე დასწრება აკრძალულია.

✦ თფილისის გაზეთებმა მეფის მოადგილის თანაშემწის სენატორი ვატაცის სამსახურიდან გადადგომის ცნობა მოიტანეს, ვატაცის ადგილზე მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი დაინიშნებაო დროებით.

✦ მეფის მოადგილეს დიდის ზეიმით დახვდა თფილისს ჩასვლისას ხალხი, უმაღლესი მოხელეობა და სხვადასხვა უწყებისა და წოდების წარმომადგენელნი. მისაგებებელი სიტყვა უთქვამს თფ. თავ.-აზ. წინამძღოლს აფხაზს, ქალაქის მოურავს და სხ. გრაფი თავს კარგათ გრძნობსო.

✦ კავკასიის საყინულე ვაგონით პეტერბურგში ჩატანილი ხილი და სხვადასხვა სანოვაგე, მცირე ნაწილს გარდა კარგი ამოჩნდა. ვაშლისა წამხდარა 10 პროც. სხლის—15 პროც., ბადრიჟნის—20 პროც., ღელვი მთლათ გაფუჭებულა, თევზი საღათ ჩასულა.

✦ მეხილობის გამოფენაზე საჩუქრები მიიღეს: დიდი საჩუქარი—ვერცხლის თასი ს. ხეთაგურმა თფილისის თავადაზნაურობისაგან; დიდი საჩუქარი—საპატიო დიპლომი ი. ფურცელაძემ; პატარა ოქროს მედალი მებაღობისთვის მიიღეს: ნ. კეცხოველმა, თავ. დ. ციციშვილმა, ნ. ბაბალოვმა; დიდი ვერცხლის მედალი საქაშეთის (გორის მაზრაში) სამეურნეო ამხანაგობამ, ა. ქარუმიძემ, მ. დუმბაძემ, გ. ჩივაძემ და ქუთაისის საგუბერნიო ციხის კომიტეტმა მებაღობისთვის; პატარა ვერცხლის მედალი მიიღეს: ა. კალატოზიშვილმა, თავ. მ. ერისთავმა, თ. ნ. ერისთავმა და თავ. ვ მაჩაბელმა; ბრინჯაოს მედალი:—თავ. ნ. ამილახვარმა, და მ. ჭიჭინაძემ მებაღობისათვის; ქების ფურცელი ნ. კასრაძემ კალათების დაწვნისთვის.

✦ თფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავს წარუდგინოს მას დაწვრილებითი ცნობები, თუ რამდენი ეხარჯება ქალაქს პოლიციის შესანახათ. ეს ცნობები საჭიროა იმისთვის, რომ შუამდგომლობა აღძრას, რათა ახალის კანონის ძალით მომავალი 1914 წლის 1 იანვრიდან პოლიციის შესანახი ნახევარი ხარჯი ხაზინამ იკისროსო.

✦ 15 ოქტომბერს სწრაფი მატარებლით თფილისს ჩასულა საუფლისწულო ქონებათა ახლათ დანიშნული ინსპეკტორი პურჭოლდი.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში ფუთი ყურძენი ოთხ აბაზიდან ექვს აბაზამდი ფასობს. კვლავ დიდძალი ყურძენი შემოაქვთ სოფლებიდან,

✦ გუშინ და დღეს შავიქვის საბჭოს სხდომებია, რომელმაც სტიპენდიები და ერთდროული დახმარებანი უნდა გაანაწილოს.

✦ გაგრაში გოგირდის წყალი აღმოჩნილა.

✦ ფოთში გაიფიცა ,,რუსის საზოგადოების'' სამასი მტვირთავი მუშა და პალიასტომის მეთევზეები.

✦ ახალციხეში ყელჭივრება მძვინვარობსო.

✦ საჩხერის საბოქაულოს სოფ. დურევში მუცლის ხურებით ბევრია ავათმყოფიო.

✦ სამოსწავლო ოლქის მზრუნველი სთავინსკი ამ დღეებში ქუთაისისა და ხონის სასწავლებელთა სარევიზიოთ ჩამოვა.

## მოწერილი ამბავი.

**სოფ. ჯალირა** (ოდიში). ჩვენს საზოგადოებას შუა ყოფს მდინარე ჰანის წყალი, რის გამოც სოფ. ჯალირა დიდ გაჭივრებაშია. საქმე ისაა, რომ საზოგადოების სასოფლო კანცელარია და შკოლა მოთავსებულია მდინარის გაღმა, ხოლო მდინარეზე ხიდი არაა და წყალდიდობის დროს სოფ. ჯალირა რჩება უშკოლოთ. დღემდი მდინარეზე გასასვლელათ არსებობდა ერთი გზა, სწორი და მასთან ამ გზით მხოლოდ ერთ ადგილას იყო საჭირო წყალში გასვლა. ეს რამდენიმე წელიწადია აქაურმა აზნაურმა ბ-მა გრიგოლ შენგელიამ ეს სასოფლო გზა მიითვისა და ზაფხულობით ყოველთვის აკავებს: ისედაც გაჭივრებულ სოფელს საშინელ მდგომარეობაში აყენებს; მთელი სოფელი იძულებულია ერთის მაგიერათ ბავშები, ქალი,—სამ-ოთხს ადგილას მხრებით გადაზიდონ, აგრეთვე ჭინახულის მოტანაც მძიმე შეიქნა სოფლელებისათვის.

# დღიური.

—გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა განაცხადა—ბერლინში მოხდა შეთანხმება სომხეთის საკითხის შესახებო.

— ლონდონის მახლობლათ სუფრაჟისტ ქალებმა ორი სადგური დასწვეს.

— სამხრეთ მანჯურიაში ჩინელები იაპონელ მგზავრებს ავიწროებენ.

— სოფიაში ალბანეთის დეპუტაცია მიდის, რომ იქ თავად კირილეს წინადადება მისცეს ალბანეთის ტახტი დ ქაროს.

— ბრიუსელის ახლო საერთაშორისო გამოფენაზე ცეცხლი გაჩნდა.

— მუკდენში იაპონიის წინააღმდ ილაშქრებენ. იაპონიის საქონელს ბ კოტი გამოუცხადეს.

— ბულგარეთის მინისტრი სესხის ა ღებათ ვენას ჩავიდა.

# უკრაინული პრესა.

### კ. ფოცხვერაშვილის მუსიკის შესახებ.

უკრაინული გაზეთის „რადას" ივლისის ბოლო ნუმერში ლ. კობილიანსკი კ. ფოცხვერაშვილის მუსიკას აცნობს უკრაინელ საზოგადოებას.

„ქართველებს, როგორც უკრაინელებს, ძლიერ უყვართ სიმღერა და მუსიკა. ქართული ხალხური მელოდიები სავსეა ორიგინალური სილამაზითა და ლირიზმით. ქართულ მელოდიებს საფუძვლათ უდევს ძველი ბერძნული დიატონიური წყობა, მაგრამ არაბთა და სპარსთა მუსიკის ზეგავლენის გამო მელოდიებს დაკარგვია წმინდა დიატონიზმი და მის მაგიერათ ჩაუქსოვია სპარსული მელოდიების თვისებანი (ქრომატიზმი ტეტრახორდი, გაძლიერებული სეკუნდათი, მელიზმები და სხვა).

როგორც ვხედავთ, ქართული ხალხური მელოდიები სწორეთ განვითარების იმავე გზას ადგას, როგორც უკრაინული. ქართველთა შორის გამოჩნდა მუსიკალური მოღვაწე, დაჯილდოვებული დიდი მუსიკალური ნიჭით, ნამდვილი ქართველი, რომელმაც

არ დაივიწყა იგი სიტყვა,
რომელსაც დედა უმღერდა,
როცა მას პაწიას არწევდა,
ბავშობითვე გულს უნერგავდა.

პირიქით, გულდასმით აგროვებს, მ
მხიბვლელ საქართველოს სხვადასხვა კუ
ხეში საუცხოო და საუკეთესო ხალხუ
მუსიკალურ ქმნილებათ, რომელიც მხატ
რულათ შეაკეთა და შეამუშავა.

ქართველთა და უკრაინელთა ურთ
ერთობაში ჩანს განსაკუთრებული სიმპატ
რაშიც კაცი ადვილათ დარწმუნდებ
თუ დაკვირებით გაიცნობს ამ ორ ე
თა განწყობილებას კიევში, თფილის
ან თვით ბაქოში. ამიტომ საჭიროთ
გვაჩნია უკრაინელ მკითხველებს გავაცნ
ახალგაზდა ქართველი კომპოზიტორი
ფოცხვერაშვილი, რომელმაც უანგარ
მოღვაწეობით ყურადღება და პატივი
ცემა დაიმსახურა როგორც თვისი თან
მემამულეთა, ისე სხვათა შორის".

მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გა
მოცემას შემდეგ გაზეთი განაგრძობს
„ფოცხვერაშვილის ნაწარმოებთა შ
რის განსაკუთრებულ ყურადღებას იპ
რობს ნაწყვეტები ოპერა „კერპთა და
ხობი" დან, რომელსაც კონცერტებზე ა
რულებს. ოპერის შინაარსი აღებ
ლია იმ დროიდან, როდესაც საქართვ
ლომ ქრისტიანობა მიიღო (მეოთხე ს
უკუნე). ამ ნაწყვეტთა შორის საუცხ
ვოა მთავარი ქურუმის არია გუნდთა
ერთად. არია დაწერილია წმინდა ხალ
ხური ხასიათით, შერეული ხოროს მძლა
რი აკომპანიმენტით.

საორკესტრო სიუტა „ამირანი" მ
წმობს, რომ ფოცხვერაშვილი არ
ჩვეულებრივი სიმფონისტია. ჩანებულ
არის გადმოღებული ხალხური სიმღერ
„მურმან". ამ სიმღერაში უცვლელა
დაცულია ძველებური მელოდია, რ
მელსაც ეტყობა ძველებური დიატონ
მი. მდიდარია დრამატიზმით ხორო უ
დესი სახელოვანი პოეტის თავადის
წერეთლის ლექსის „დელა"-სი. ვახტან
მეფის მარში (ხორო და ორკესტრი)-
საომარი სიმღერა ძლიერ ამაფრთოვან
ბელია…

# ეროვნული საკითხი*)

(„ნარიძის" წერილების გამო.)

## 1) პოლონეთი.

### ბ) კულტურული ბრძოლა პოლონელთა პრუსიელებთან.

ბ. „ნარიძე" ამბობს: „სანამ ერის შემაკავშირებელი ძალა იყო ტერიტორია (მიწა), მანამდი ის ეროვნება არ იყო. მხოლოდ ამ ძველი, საშვალო საუკუნეების შემაერთებელი ძალის დარღვევამ და მის ალაგას ახალის აღორძინებამ შექმნა თანამედროვე ერი."

შემდეგ განაგრძობს: „ქართველობა გავიდა საქართველოს გარეთ... საქართველოში შემოვიდა მრავალი უცხო ერი.. თფილისმა დაკარგა ქართული ხასიათი... ქართველები აითქვიფენ სხვა ერებში და სხვა ერები ქართველებში. საქართველო აღარ ფარავს ქართველობას, ქართველობა აღარ ფარავს საქართველოს, ეს მიმდინარეობა უფრო და უფრო ძლიერდება.".

ერთი სიტყვით, საქართველო, როგორც ეთნოგრაფიული ერთეული, აღარ არის.

მისი ფიქრით ამ მოვლენის მიზეზი ის არის, რომ გლეხები და პროლეტარები ვითომ გაურბიან მიწას.

მოვიყვანოთ მისივე სიტყვები: „ყველა ესენი (ე. ი. დიდი და საშვალო მემამულენი) დაინტერესებული არიან ტერიტორიალურ კითხვებში. მათი პირდაპირი ინტერესი შეკავშირებულია ტერიტორიის ინტერესებთან. ამათ რიცხვში არ შეიძლება იყოს უმამულო გლეხობა, ე. ი. ისეთი ხალხი, რომელიც სხვისი მიწის დამუშავებით ცხოვრობს- ამათთვის ტერიტორია (მიწა) წყაროა ბევრნაირი შევიწროებისა და დამცირების. ამიტომ **მათი იდეალია სოფლიდან გასვლა**, ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში დაბინავება.. და რამდენათაც ეს მათი ლტოლვილება ღრმავდება, ფართოვდება და მეტ ქართველობას ითრევს, იმდენათ ქართველი გლეხობა უახლოვდება ქართველ პროლეტარიატს. ერთი სიტყვით, ტერიტორიალური პრინციპია დღეს სოფელში გაბატონებული კლასების—სხვილი და წვრილი მემამულეების. ამათ მხარს უშვენებენ მრეწველნი და ვაჭარნი."

ამგვარათ ბ. „ნარიძის" ფიქრით ქართველები გავიდენ საქართველოდან, საქართველოში შემოვიდენ სხვა ერები, ქარ ველები გაიბნენ, „გაითქვიფენ", ქართველი გლეხის იდეალია „სოფლიდან გასვლა". მამულთან არა სწყვეტენ კავშირს მხოლოდ სხვილი და საშვალო მემამულენი, გლეხები გარბიან სოფლებიდან ქალაქში და საქართველოდან უცხო ქვეყნებში და სხ. ეს პროცესი ხდება ამ უკანასკნელ ხანს და თანდათან ძლიერდება ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების გამო.

მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ საქართველო მალე მთლად აღიგვება პირისაგან ქვეყნისა, ქართველი ერი სულ ერთიანათ გაიბნევა დედამიწის ზურგზე და ისე „გაითქვიფება", რომ სახსენებელიც აღარ დარჩება მისი! დაუმატეთ ამას კიდევ ის, რომ ბ. „ნარიძეს" უმნიშვნელო იარაღათ მიაჩნია ტერიტორია ეროვნული განვითარებისათვის. მაგრამ ამ წილადობილას ერთი სულის შებერვით სპობს ბ. „ნარიძის" ავტორიტეტივე რუდოლფ შპრინგერი, ტერიტორიალ-ეროვნული ავტონომიის უარმყოფელი. ის ამბობს: „რომ შევადაროთ ახლანდელი რაოდენობა ერთა და ახლანდელი მოედანი მათი მოსახლეობისა იმავე რაოდენობასა და მოედანს ორმოცდაათი, ასი ან ხუთასი წლის წინეთ, დავრწმუნდებით, რომ საუკუნეთა განმავლობაში ეთნიური ურთიერთობა თითქმის არ შეცვლილა. ასე გაშინჯეთ, შინაგანს ეთნიურ შერევასა და გადასახლება-გადმოსახლებასაც კი არ დასტყობია შესამჩნევი ცვლილება. ავსტრიამ, რომელიც წარმოადგენს ეროვნული საკითხის ლაბორატორიას, ცხადათ დაამტკიცა, რომ მოედანი ეროვნული მოსახლეობისა და რაოდენობითი ურთიერთობა ერებისა—თითქმის უცვლელია ერთისა და ორი საუკუნის განმავლობაში" (იხ. შპრინგერის წერილი კრებულში: „ეროვნული მოძრაობის ფორმები."

მაშასადამე, ავსტრიაშიც კი არ მომხდარა ერების ისეთი არევა, გათქვეფა და დენაციონალიზაცია, როგორიც თურმე განუცდია საქართველოს, თუმცა იქ ვაჭრობა-მრეწველობაც უფრო განვითარებული და პროლეტარიატიც შედარებით მეტია ერთი ასათ.

რას მივაწეროთ ასეთი განსხვავება შპრინგერისა და „ნარიძის" მხედველობათა შორის?

იმას, რომ შპრინგერს აინტერესებს უპირველესათ ჭეშმარიტება და კი არ ამახინჯებს, არამედ იკვლევს ფაკტებს, რომ მტკიცე საფუძველი მოუპოოს თავის თეორიულ დებულებას.

ბ. „ნარიძე" კი განგებ ამახინჯებს ფაკტებს, რომ ადვილათ გადაიბიროს მკითხველი: მისი მიზანი დემაგოგია არის და არა მეცნიერული კვლევა-ძიება.

არის კიდევ ერთი წყარო, საიდანაც სწურავს სიბრძნეს ბ. „ნარიძე" ამ ერთი წლის განმავლობაში ეს არის „მედემის" წერილები, დაბეჭდილი „ვესტნიკ ევროპის" მერვესა და მეცხრე ნუმრებში. თითქმის ყველაფერი, რასაც ამბობს ბ. „ნარიძე", ხსენებული წერილებისაგან აქვს ნასესხები: სიტყვსა სიტყვით იმეორებს ყველაფერს, რასაც ამბობს „მედემი". ზოგ დებულებას კი გამორჩევით შპრინგერისაგან სესხულობს.

პრუსიის პოლონეთის ეკონომიური ცხოვრების შესწავლა კი ცხადათ ამტკიცებს შპრინგერის ხსენებულია ზრის სიმართლეს და „ნარიძის" დებულების სიმტყუვნეს.

ბ. „ნარიძის" ფიქრით, ქართველი ხალხი მხოლოდ მაშინ შეიქმნა ერათ, როცა გაიბნა. ვიდრე მიწასთან იყო შეკავშირებული, ე. ი. ვიდრე კაპიტალიზმი განვითარდებოდა, მანამდი ქართველი ერის ხსენებაც კი არ იყო. აი მისი სიტყვები: „ამ ნახევარი საუკუნის წინ ჩვენს ეროვნებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ქართველობა მაშინ ნაციონალურ ორგანიზმს არ წარმოადგენდა. ამის მიზეზია ის, რომ ერის ერთობას ქმნიდა ტერიტორია და არა კულტურა. კულტურული ერთობა ქონდა მხოლოდ რამდენათმე მაღალ წოდებას: შეძლებულ თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას. ესენი ნაკლებათ იყვნენ მიკრული მიწაზე.... ქართველი გლეხობა წარმოადგენდა ეთნოგრაფიულ გროვას, კარჩაკეტილს თავ-თავის სოფლებში. ამიტომ ქართველობა, როგორც ეროვნება, არ არსებობდა... რამდენათ ქართველი ხალხი სწყვეტს კავშირს მეურნეობასთან, იმდენათ მის შემაკავშირებელ ძალათ ხდება კულტურა. ტერიტორიალური ერთობის ალაგს იჭერს კულტურული ერთობა... და ყველა, ის, ვინც წინ ეღობება კაპიტალიზმს, ეტ ფის ჩვენი ქვეყნის გაყინვას წვრილ ბურჟუაზიულ საფეხურზე... არიან ანტიკულტურული და ანტინაციონალური ელემენტები".

მაშ, ბ. „ნარიძეს" თუ დავუჯერებთ, ერი ისეთი ორგანიზმი ყოფილა, რომლის შექმნაც შესაძლებელია თურმე ორმოც წელს! ქართველი ერი უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში შეიქმნაო! ორიგინალური აზრია, მაშ რაა! განა შეუძლია სხვას ვისმე სთქვას ამგვარი რამე?!

მეორე, თუ მიწასთან კავშირის გა
წყვეტა ნიშნავს ეროვნული კულტურ
შექმნას, ებრაელები ყველაზე უკეთ
მდგომარეობაში არ უნდა იყვნენ ეროვ
ნული განვითარების მხრით?! მაშ რატო
დაისახა მიზნათ ტერიტორიის შეძე
ებრაელმა ერმა?! რატომ გაჩნდენ სიო
ნისტები?! და, თუ ერის გაბნევა ერი
გაცამტვერებასა და გადაგვარებას ა
ნიშნავს, რატომ დაივიწყეს მათ დიდებუ
ლი ძველი თავისი ენა და მწერ
ლობა?!

მაგრამ, ეროვნული კულტურა თ
მარტო კაპიტალიზმის დროს იბადებ
თუ ქართველობა არ წარმოადგენდა ეროვ
ნულ ორგანიზმს ორმოცი წლის წინ, რა
მივაწეროთ, რუსთველი რომ შვა მეთორ
მეტე საუკუნემ?! განა ვეფხის ტყაოსან
უმაღლესათ არ გამოიხატება ქართულ
ეროვნული სული?! რომელი სხვა ეროვ
ნულ-კულტურული განძი შეედრება ა
გენიოსურს, უკვდავ ქმნილებას?! და ო
ახლა შეგვიძლია ვუწოდოთ ქართველო
ბას ერი, მით უფრო არ იყო ის ამ ს
ხელწოდების ღირსი მეთორმეტე საუკუ
ნეში, როდესაც ცხოვრება აშენებულ
იყო არა კაპიტალისტურ ნიადაგზე, არა
მედ ბატონყმობაზე?!

ცხადია, ბ. „ნარიძის" უცნაურ „თეო
რიას" არ ძალუძს გვიპასუხოს არცერთ
ხსენებულ საკითხზე, რადგან უსუსურ
და ეწინააღმდეგება, როგორც ლოღიკა
აგრეთვე ისტორიულ ფაქტებს.

ამოვსწეროთ კიდევ ერთი „ხელიხელ
საგოგმანებელი მარგალიტი": „ტერიტ
რიალური პრინციპით ნაციონალურ
კითხვის გადაჭრა ნიშნავს დღევანდელ
ურთიერთობაში წასული ურთიერთობ
გადმოტანას, იმ წასულის, როცა ე
კულტურული მთელი არ იყო და მ
იცავდა დაშლისაგან მხოლოდ ტერიტ
რიალური ერთობა. დღეს, როცა ნაც
ტერიტორიალურათ დაიქსაქსა და გ

---

*) იხ. ,,იმერეთი'' 169-ე ნომერი

დასასრულ ჩვენ უკრაინელნი, სიხარულით აღვსილი მოძმე ქართველთა წარმატებით, ვუსურვებთ, რომ მათთვის კ. ფოცხვერაშვილი იყოს ისეთივე დაუღალავი და დაუზარებელი მუშაკი საზოგადო ასპარეზზე, როგორც იყო ჩვენთვის ჩვენი უკვდავი ნიკოლოზ ლისენკო.“

# დეპეშა.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

**ბეილისის საქმე.**

**კიევი.** კოსოროტოვი ეხება აზრთა სხვადასხვაობას და ამბობს: პავლოვი ლაპარაკობს სპეციალისტობის განსხვავების შესახებ, მაგრამ ნამდვილი წარმოდგენა კი არ აქვს სასამართლოს აქიმის პრაქტიკის შესახებ. მეცნიერებამ სიცოცხლის და სიკვდილის საზღვარი გარკვევით განსაზღვრა. გაარკვია განსაკუთრებით, როდესაც შესწყდება გულის ძგერა, რა ჭრილობა იყო სიკვდილამდი და რომელი სიკვდილს შემდეგ მიცემული. გაარკვია ამასთანავე, რომელია სასიკვდილო ჭრილობა. პავლოვი რომ არ მეთანხმება, ამის მიზეზი მისი სასამართლოს მედიცინის უცოდინარობაა: არ ესმის მას სასამართლოს მედიცინის წესდება. სასამართლოს მედიცინა წმინდა მეცნიერულ ცნებებზეა აგებული. სასიკვდილო ჭრილობა ადამიანს გრძნობას უკარგავს. კოსოროტოვი შეეხო დაგუბებით დახჩობის ეთას. სთქვა: მარტო პირის დახურვით არ შეიძლება ადამიანის დახჩობა. ტუფანოვმა და მე სისხლის რაოდენობა ფიზიოლოგიური ცნობების მიხედვით გამოვიკვლიეთო. ბევრი მიმუშავია და ჩემს პრაქტიკაში ათასამდი ადამიანის სხეული გამიჭრიაო. გულის უსისხლობა ამტკიცებს ბევრი სისხლის დაცლას. შესაძლებელია, სისხლი ნახევარზე მეტი ყოფილიყო გამოშვებული. გვამის საქმეს სტაქრები არ არიან საკმაოთ გაცნობილი. კოსოროტოვს უკვირს, რომ ასე თამამათ მსჯელობენ იმ საგანზე, რაც მათ არ შეეხებათ. დაბეჯითებით ამტკიცებს სისხლის კისრიდან დენასაც. ეხება იარაღს, რა იარაღითაც დაჭრილია და ამბობს: — ჭრილობას გარკვევით ემჩნევა რომელია სიკვდილამდი მიცემული და რომელი სიკვდილს შემდეგ. კოსოროტოვი აღიარებს, რომ მკვლელებს მოკვლის განსაზღვრული პლანი ქონდათო. გრუზენბერგის შეკითხვაზე კოსოროტოვმა სთქვა: შეიძლება დავასკვნათ, რომ ვალება არ იყო მკვლელობის უმთავრესი მიზანი, მაგრამ ეს მკვლელობა არც მთლად უბრალო მკვლელობათ ჩაითვლება, ვინაიდან ბავშის მოკვლა უფრო იოლათ, ცემითაც შეიძლებოდაო. მაკლაკოვის შეკითხვაზე სთქვა: როდესაც მოკვლის განზრახვით სცემენ ადამიანს, მას სცემენ თავსა და გულზე. თანახმათ შმაკოვის კითხვისა კოსოროტოვი ჭრილობებს ორ ჯგუფათ ყოფს. ტუფანოვი აღნიშნავს იუშჩინსკის გვამის მეორეჯერ გაზომის დროს შეცთომა მოგვივიდაო. იგონებს 23 მარტს გადაღებულ სურათს, სადაც ჭრილობები და დაზიანებული ადგილები აშკარათ ჩანს. დამცველები პროტესტს აცხადებენ ტუფანოვის მიერ წარმოდგენილი სურათის გამო. პროტესტის გაჰიანურების შიშით ტუფანოვისაგან სურათის წარმოდგენას არც პროკურორი თხოულობს, აქვეყნებენ სასამართლოს მიერ მიცემულ კითხვებს ექსპერტების მიმართ. ეკითხებიან გვამის გაჭრამ არ აღმოაჩინა მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობდენ მკვლელები, ამავე გაჭრამ არ დაგანახათ თუ რა პროფესიის ხალხს მოუკლავთ, დაზიანებულ სხეულზე შეიძლება შეიტყოთ ჭრილობები რა თანდათანობითაა მიცემული, შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ მკვლელი რომელი ტომისაც იყო, შესაძლებელი იყო მკვლელობა ბავშის გარყვნის ნიადაგზე მომხდარიყო. ზამისლოვსკის შუამდგომლობით, რომელსაც პროკურორმაც მხარი დაუჭირა, კოსოროტოვს კითხვებს აძლევენ იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ჟენია ჩებერიაკის სიკვდილი. კოსოროტოვი ამბობს, რომ ჟენია ჩებერიაკის ქალი მუცლათი მოკვდაო.

## უცხოეთი.

**ლოდზი.** რუსის მოღვაწე ბალდასიუკზე შეიმუშავეს საბრალდებულო ოქმი. ბრალათ ედება სახელმწიფო ღალატი. საქმე ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გაირჩევა.

**ბრიუსელი.** გენტაში საერთაშორისო გამოფენას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ერთ საათს შემდეგ ჩააქრეს. დაიწვა შეიდი სახლი, ზარალი დიდია

**ხარტუმი.** მკვიდრი მცხოვრებლები საფრანგეთის ჯარს თავს დაესხნენ. მდგომარეობა სერიოზულია საფრანგეთმა ექსპედიციის გაგზავნის შესახებ ინგლისთან დაიწყო მოლაპარაკება. მოლაპარაკება აქვს აგრეთვე მკვიდრთა დასჯის შესახებ.

**ლონდონი.** ოპოზიციონერთა ბელადმა ლოუმ მიტინგზე გორმულის შესახებ სიტყვა სთქვა: მხარე სერიოზულ მდგომარეობას განიცდის. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა მთავრობის მოვალეობაა. მოვალეობაა ეს აგრეთვე ოპოზიციისაც. ოპოზიცია კმაყოფილი იქნება, თუ საკითხი მშვიდობიანათ გადასწყდება. საკითხი ეხება არა მარტო ულსტერს, არამედ ირლიანდიასა და დიდბრიტანეთსაც. ოპოზიცია ხელს შეუშლის ირლიანდიის მთავრობას, ვინაიდან ის ნაციისათვის საფრთხეს წარმოადგენსო. მთავრობა დანაშაულობას ჩაიდენს თუ საკითხს ისე გადაწყვეტს, რომ დიდი ბრიტანეთის მცხოვრებთა სურვილს ყურს არ ათხოვებს. ხალხი თუ გომრულის სასარგებლოთ გამოსთქვამს თავის აზრს უნიონისტები წინააღმდეგობაზე ხელს აიღებენ. ამ მდგომარეობას რომ მთავრობამ თავი დააწიოს, მას ერთადერთი გზა დარჩენია, საკითხი შეთანხმებით გადასწყვიტოსო. თუ ასკვიტი წინადადებას მოგვცემს, ჩვენ მზათა ვართ მივიღოთ და თუ კი ამ წინადადების მიღება ჩვენს ნაციონალურ თავმოყვარეობას არ შელახავს.

**მადრიდი.** მეფემ ორს დეკრეტზე ხელი მოაწერა. პარლამენტი გამოურკვეველ დრომდი დაითხოვეს. ბარსელონის გუბერნატორათ ანდრადე დაინიშნა.

**ვენა.** „რუსკოე სლოვოში“ საზონოვთან ბაასის დაბეჭდვის გამო „ნეიესფრეიენერტავებლატი“ ოფიციალურ შენიშვნაში სწერს: მინისტრის საზონოვის განცხადება ბალკანეთის საქმეთა შესახებ იწვევს აქ კმაყოფილებასო.

**მუკდენი.** იაპონიის გალაშქრების გამო საზოგადოებრივი აზრი იაპონიის წინააღმდეგ მიმართული ძლიერდება. სავაჭრო პალატის დადგენილებით იაპონიის საქონელს ბოიკოტი გამოეცხადა. ადმინისტრაცია ბოიკოტის წინააღმდეგ ზომებს ღებულობს.

**ურგა.** მთავარი მინისტრი სამნაიხანი პეტერბურგს წავიდა.

**მიუნხენი.** სარჟენტის გაუქმების შესახებ კანონპროექტი დეპუტატთა პალატამ 122 ხმით წინააღმდეგ 27 მიიღო.

**ვენა.** მთავრობამ დეპუტატთა პალატაში სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ ახალი კანონპროექტი შეიტანა. ამ კანონპროექტის ძალით ჯარში გასაწვევ პირთა რიცხვი 5 წლის განმავლობაში უნდა გადიდდეს.

**ტოკიო.** განზრახულია ორასი მილიონი მანეთის სესხის აღება. 160 მილიონი რკინის გზის ვალებსა და საზღვარგარეთის ფონდზე დაიხარჯება. დააპატიმრეს 75 კაცი, რომელთაც მკარცველთა ბრბო ქონდათ შედგენილი.

**ვენა.** „კორბიურო“ იტყობინება — მოვიდა ბულგარეთის ფინანსის მინისტრი ტონჩიევი, რომელსაც განზრახვა აქვს ოცი მილიონი ფრანკი აიღოს სესხათ.

**ტოკიო.** იაპონიას უცხო სახელმწიფოდან სესხის აღება ცუდ პირობებში უხდება, ვინაიდან მისი ნდობა ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან შეირყა, ძიძა სესხის აღების წინააღმდეგია.

**ბელგრადი.** სკუპჩინაში პაშიჩმა საგარეო პოლიტიკის შესახებ მოხსენება წაიკითხა.

## რუსეთი.

**კიევი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა კიევის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას 1914 წელს გამოფენის გასამართავათ დაუთმოს მიწა.

**ვარშავა.** მატარებლის დაჯახების დროს ხუთი მოკვდა, მძიმეთ დაშავდა 17, აქიდან ოთხი უკვე გადაიცვალა. სუბუქათ დაშავებულთა რიცხი 37.

**ოდესა.** კიშინევს არქიეპისკოპოზის თანხლებით მოვიდა სინოდის ობერ-პროკურორი საბლერი. აქიდან საბლერი კიევს მიდის.

**მინსკი.** ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების კრებამ გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულობის განხილვის გამო იქონია საექსპერტო ვაჭრობის შესახებ მსჯელობა.

**რიგა.** პოლემურურის და რიხრდის ქარხნის მუშები გაიფიცენ. გაიფიცა აგრეთვე რუსეთ-ბალტიის მუშების ერთი ნაწილიც

**პეტერბურგი.** საზღვაო საქმეთა მინისტრმა სათათბიროში წინადადება შეიტანა 1914 წელს საბრძოლო გემების ასაშენებლათ 77,752,549 გადაიდვასო.

## „რუსკია ვედომოსტის“ 50 წ. იუბილე.

### წერილი მოსკოვიდან.

მოსკოვის სალიტერატურო-სამხატვრო დარბაზი რუსეთის თვალსაჩინო ინტელიგენციით გაჭედილია. აქ არიან წარმომადგენელნი ორივე საკანონმდებლო პალატისა, წარმომადგენელნი მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა, თეატრისა, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებისა, ამათი რიცხვი ათას კაცს აღემატებოდა.

1 საათზე საიუბილეო კომიტეტის თავჯდომარემ პროფ. ნ. ვ. დავიდოვმა გახსნა კრება. წრფელი და მხურვალე სიტყვით აღნიშნა „რუსკია ვედომოსტის“ მნიშვნელობა და ესტრადაზე მოიწვია რედაქციის მთელი შედგენილობა. ესტრადაზე გამწკრივდენ გაზეთის თანამშრომლები: პროფ. პოსტნიკოვი, ანუჩინი, მანუილოვი, როზენბერგი, იგნატოვი, მაქსიმოვი და სხვ.

საზოგადოება მათ ტაშითა და ვაშას ძახილით მიეგება.

აკადემიკოსი ბუნინი კითხულობს ადრესს, რომელზეც 100 ათას „რუსკია ვედომოსტის“ მკითხველთ აქვს ხელი მოწერილი.

სიტყვა ეკუთნის მ. მ. კოვალევსკის. მხცოვანი პროფესორი ადის კათედრაზე.

ორი წლის წინათ, სთქვა, სხვათა შორის, მ. კოვალევსკიმ, ჩვენ ვდღესასწაულეთ 50 წელი ბატონყმობის გათავისუფლებიდან — დასაწყისი რეფორმებისა, ახლა კი ვდღესასწაულობთ 50 წელს „რუსკია ვედომოსტებისას“ — იმ გაზეთისას, რომელიც მუდამ იდგა და სდგას დარაჯათ ხალხისთვის მინიჭებული თავისუფლებისათ. ორატორი არკვევს გაზეთის მნიშვნელობას შინაგანი პოლიტიკის საკითხში 50 წლის განმავლობაში. მნიშვნელობა გარეშე პოლიტიკის საკითხში საუცხოოთ ასწერა სათათბიროს წევრმა მილიუკოვმა. მან მოიხსენია გაზეთის 7 კორესპონდენტი, პ. ლ. ლავროვი ლიდერი რუსეთის სოციალისტების, ს. ფ. ფორტუნატოვი, რომელმაც ორატორის სიტყვით ამერიკა ამერიკელებზე უკეთ იცისო, და სხვ. თავ. დ. ი. შახოვსკი ეხება „რუსკია ვედომოსტის“ დამოკიდებულებასა და მნიშვნელობას ერობის საკითხებში. „რუსკია ვედომოსტი“, ორატორის სიტყვით, საუკეთესო მეგობარია ერობისა, მეორე ასეთ მეგობარს ერობა ვერაოდეს ვერ შეიძენსო.

ამ ორატორს შემდეგ კრება რამდენიმე ხნით შესწყდება.

კრების გაგძელებისას მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ნაფ. ვექ. ა. რ. ლედნიცკიმ. ის აღნიშნავს, თუ რა დიადი სამსახური გაუწია „რუსკია ვედომოსტმა“ ნაციონალური საკითხების მეცნიერულათ გამორკვევის საქმეში. ის პოზიცია, რომელიც ამ მწვავე საკითხის გარკვევის დროს ხსენებულმა ორგანომ დაიკავა პოლონელების, ებრაელებისა და კავკასიელების მხრით დიდი მადლობის ღირსია. პროფ. ი. ა. უმოვმა აღნიშნა კავშირი „რუსკია ვედომოსტისა“ და ნაციის შორის. აკადემიკოსმა ი. ა. ბუნინმა ნათლათ დაგვისურათა ეს ორგანო, როგორც ერთი ფრიად კეთილშობილური გაზეთი ბეჭდვითი სიტყვისა მთელს ევროპაში, რომელიც მუდამ დარაჯათ უდგას რუსეთის ლიტერატურის ინტერესების დაცვას.

პროფ. პოსტნიკოვმა, თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა, რომ „რუსკია ვედომოსტს“ არაოდეს არ დაუვიწყია მშრომელი ხალხის ინტერესები.

რედაქციის სახელით საზოგადოებას მადლობას სწირავს პროფ. ა. ა. მანუილოვი და აცხადებს, რომ გაზეთი შემდეგშიც ემსახურება იმ იდეას, რომლითაც იგი 50 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ლიტერატორი ი. ი. პაპოვი აღნიშნავს აწ განსვენებულთა — სობოლევსკის, გერცენშტეინის, იოლოსისა და სხვ. მნიშვნელობას. მათ ხსოვნას პატივსცემენ ფეხზე ადგომით.

კვლავ რამდენიმე წუთით შესწყდება კრება და ისევ სიტყვები და შემდეგ იწყება დეპუტაციისგან ადრესის კითხვა. ეფრემოვი, სხვათა შორის, თავის ადრესში ამბობს: „აზრის ჯეჯილი თავს იჩენს მომაკვდავი წესწყობილების უკანასკნელი სულთა ბრძოლის დროს. მის ზღას ვერ შეაფერხებს ბალახ-ბულახი ცრუნაციონალიზმისა და მოკავშირეობისა“... ამ სიტყვებზე წამოვარდება პოლიციის წარმომადგენელი ბოქაული პოლკოვნიკი სტროევი.

— ბ. თავჯდომარე, კრებას ვხურავ! და ხმამაღლა მიმართავს საზოგადოებას დასტოვონ დარბაზი. თავჯდომარე გამოელაპარაკება ბოქაულს, მაგრამ ვერას ხდება და კრება იხურება. ყველას დიდი უკმაყოფილება ემჩნევა და აღელვებული სტოვებენ დარბაზს.

საღამოს 11 ს. რესტორან-სლავიანსკი ბაზარში ბანკეტი გაიმართა. ბანკეტს დაესწრო თითქმის ყველა, ვინც კრებაზე იყო. სუფრა 600 კაცისთვის იყო გაშლილი. თამადობდა თავ. პ. დ. დოლგორუკოვი. აქაც სიტყვები წარმოსთქვეს მ. მ. კოვალევსკიმ, იგნატოვმა, მანუილოვმა, კიშინმა, შემდეგ თვით პ. დოლგორუკოვი დიდის აფრთოვანებით წარმოსთქვამს სიტყვას და, სხვათაშორის ამბობს: „თვალუწვდენელია რუსის მდელო, ავი გრიგალი დაქშუის მას თავს, მძაფრია რუსეთის ყინვები, გძელია ზამთრის ღამე და ძვირია ცეცხლი. სინათლესა და სითბოს ჩირაღდანს მოკლებული რუსი მოგზაური ვერ ეღირსება განთიადს“... ბოქაული სტროევი აწყვეტინებს ლაპარაკს და ხურავს ბანკეტს. თავადი ტელეფონით ელაპარაკება გრადონაჩალნიკს. გრადონაჩალნიკი ბოქაულისგან მოითხოვს სიტყვის შინაარსს, რას შემდეგ კანონიერათ სცნობს ბოქაულის მოქმედებას, ხოლო დეპეშების წაკითხვა — გაგზავნის ნებას აძლევს კრებას.

600 კაცის ხელმოწერილი დეპეში გაეგზავნა ბეილისის დამცველთ კიევში და გამოჩენილს კრიტიკოსს ბრანდეს, რომელსაც, როგორც ებრაელს, მთავრობამ ნება არ მისცა რუსეთში შემოსვლისა.

კითხულობენ დეპეშებს, რიგი მიდგა ლიტერატორის აიზმანის დეპეშზე; ის სწერს კრებულს: „რუსკია ვედომოსტის“ მზგავსი გაზეთი რომ ბლომათ იყოს, მაშინ არც ბეილისის საქმე „იქნებოდა“.

ბოქაული კვლავ ხურავს კრებას.

თ-დი დოლგორუკოვი აღელვებული თავჯდომარეობაზე უარს აცხადებს, დარბაზში აურზაური ასტყდება. ბოქაული თხოულობს დარბაზის დაცლას. —

— ვივახშმებთ და როდესაც რესტორანი დაიხურება, მაშინ — დავიშლებით, — გაისმის აღელვებული ხმები და სთხოვენ თავადს დოლგორუკოვს თავჯდომარეობას, თავადი პროტესტს აცხადებს, „მე პოლიტიკურ ბანკეტს თავჯდომარეობდი, საქეიფო სუფრის თავჯდომარეობა არა მსურსო.

ამ დროს აკადემიკოსის ბუნინისა და ბოქაულ სტროევს შორის ინციდენტი მოხდა.

ბუნინმა მოითხოვა, რომ მისთვის ნება მიეცათ თასის დაცლისა.

— თქვენ ვინა ბძანდებით? — ეკითხება ბოქაული.

აკადემიკოსი სადარბაზო ბარათს გადასცემს ბოქაულს და დასძენს:

— საპატიო აკადემიკოსი საიმპერატორო აკადემიისა, ი. ა. ბუნინი.

— ხომ არ ინებებთ ჩემთან წამოსვლას?

საჭიროთ არა ვრაცხ! — ცხარეთ მოუჭრის ბუნინი, ჩაუვლის გვერდს და უნებლიეთ ბეჭს გაკრავს.

— თქვენ არ გაქვთ უფლება, შემეხოთ! — აღელდება ბოქაული.

— უნებლიეთ მომივიდა, უკაცრავათ!..

ყველას ეგონა, საქმე ამით გათავდებოდა, მაგრამ ბოქაული ტელეფონით დაელაპარაკა გრადონაჩალნიკს, და სამი ბოქაულის თანხლებით ბუნინს გაიწვევს მეორე ოთახში ოქმის შესადგენათ. ბუნინს სხვა ამხანაგებიც გაყვებიან. ოქმის შედგენა 2-დან 4 საათამდი გაგძელდა. ოქმზე ხელისმოწერაზე ბუნინმა უარი განაცხადა. დარბაზში დიდი ჩოჩქოლი ატყდება. ლიტერატორმა გრუზინსკიმ სთქვა: „ეს პირველი შემთხვევაა, რომ აკადემიკოსზე პოლიტიკური ოქმი შეედგინოსთ.“

ეს გამოიწვევს საერთო ტაშის ცემას და აშფოთებული კრება დაიშლება შვაღამის მეხუთე საათზე.

ენ — გან.

## უცხოეთი.

**ალბანეთის საკითხი და ავსტრიის მუქარა.** ავსტრიის რწმუნებულმა ბელგრადში ავსტრიის მთავრობის მხრით მოაგონა სერბიის მთავრობას, — სერბიის ჯარის გაყვანის ვადა ალბანეთის ტერიტორიიდან თავდებაო, ამიტომ გაცნობებთ, რომ თუ სერბია ავსტრიის მოთხოვნილებას სავსებით არ აასრულებს, მაშინ ვენის მთავრობა მიიღებს შესაფერ ზომებს, რათა თვისი მოთხოვნანი თვითონვე მოიყვანოს სისრულეში. ამასთანავე მოითხოვს სერბიისაგან იმ ხარჯების გადახდას, რომელსაც გამოიწვევს ავსტრიის ჯარის ალბანეთს გაგზავნაო.

ავსტრიის დიპლომატია ძალიან უკმაყოფილოა სამთაკავშირის შეთანხმების აზრით, რომ ხელახლათ მოხდეს ელჩთა თათბირი ლონდონში.

ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ ლონდონის თათბირმა სავსებით გაარკვია თავისი პროგრამა და ამიტომ ხელახალი შეკრება ელჩების ზედმეტიაო. ავსტრიის დიპლომატიას ეშინია — თათბირი უთუოდ შეეხება ავსტრიის მთავრობის თავისუფლათ გადადგმულ ნაბიჯს სერბიის მიმართ და აუკრძალვენ კვლავ ასეთს თავისუფალ მოქმედებასო.

## ბ. დ. მდივანის და ნარიძისადმი

**საპასუხო წერილის გამო.**

„იმერეთის“ 157-ე ნუმერში მოთავსებულია წერილი, რომლითაც იგი ბ. მჭედლიძეს ექომაგება, მაგრამ ბ. მდივანმა თვით გაიხადა თავი საქომაგოთ. მე მსურს მივაქციო ყურადღება მჭედლიძის გაკვეთილის სულ სხვა მხარეს. სინათლის გასაკვლევათ საჭიროა აინიშნოს, თუ რა ცოდნის ბავშები იყო აყვანილი კურსებზე. დარწმუნებული ვარ, ამ კურსებზე აყვანილ მოსწავლეთა სამივე ჯგუფი, ანუ განყოფილება, ისეთი ცოდნით იქნებოდა აღჭურვილი, როგორითაც ისინი ჩვენ გვეცხადებიან შკოლაში პირველ სექტემბერს. ესე იგი, პირველ განყოფილებაში სრულიად უსწავლელნი, მეორეში ქართული წერა-კითხვისა და რუსულათ ლექსიკური განყოფილების ცოდნით, და მესამეში რუსული წერა-კითხვა და პირველი ნაწილი „რუსკოე სლოვო“ გოგებაშვილისა ექნებოდათ დასრულებული. სხვაგვარი ჯგუფის იმდროზე შედგენა ძნელი იქნებოდა და კურსებისთვისაც მნიშვნელობა არ ექნებოდა. ავი-

---

ქცა კულტურულ ერთობათ, ტერიტორიალური პრინციპი ნიშნავს ბატონობისა და ძალმომრეობის პრინციპს“.

ეს მსჯელობა რომ სოფისტიკაზეა აშენებული, ცხადია: თუ დღეს არ არის, ც წინათ იქნებოდა კარგი, რომელიმე ი რომ დაპატრონებოდა თავის ტერიტორიას, რადგან ბ. „ნარიძის“ ფიქრით, ის „ტერიტორიალურათ დაქსაქსვა“ რე თუ გვიან უთუოდ უნდა მომხდარიყო და, როცა იქნებოდა, გაბატონებული ერი შეუდგებოდა სხვადასხვა უუფლებო ერის ჩაგვრას განსაზღვრული ტერიტორიის ფარგალში.

მაგრამ არა! ის, ვინც იცავდა თავის ტერიტორიას, იცავდა იმავე დროს თავის ერს. ასე ყოფილა ყოველთვის.

და ევროპის ეროვნული გმირები იმავე დროს უდიდესი დემოკრატები იყვნენ. მაძინი და კოშუტი რესპუბლიკას აღიარებდენ და კიდევაც განახორციელეს ორიოდე ხანს ეს პოლიტიკური წესწყობილება, პირველმა რომში, მეორემ ბუდაპეშტში. რესპუბლიკელი იყო აგრეთვე კოსციუშკო, პოლონეთის ეროვნული გმირი. და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ოეული დიდი ეროვნული მოძრაობა პოლონეთში იყო იმავე დროს დემოკრატიულიც.

მართლაც, განა შეიძლება დააკმაყოფილო მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის ინტერესები დემოკრატიული რეფორმების უშუამავლოთ?! რასაკვირველია, არა. მაშასადამე თითქმის ყოველთვის ჩაგრული ერის ბრძოლა ტერიტორიის გათავისუფლებისათვის შეერთებული ყოფილა დემოკრატიულ მოძრაობასთან.

ისარი.

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
**ხ. ხრისტოდულიდის**

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდე ა/წ. [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** შეკვეთის დროს [illegible] და წარმოადგინონ ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის ვაჭრობში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლევანტი** ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმუკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერას
ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.**
ალექსანდრეს ქუჩაზე

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინოლეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშა.

**პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.** № 1

დოთ პირველი განყოფილება, რომელშიც იმ დროს, როცა ბ. მჭედლიძემ რუსულათ მისცა გაკვეთილი, ქართული ანბანი ნახევარზე მეტი არ ექნებოდათ გავლილი. ასეთ ბავშებს კი, თავის ენაზეც რომ უჭირთ სიტყვების შექსოვება და თავისი აზრის გამოთქმა, ამის ეჭვი არავის აქვს, რუსული ენის დაწყება ასეთ ბავშებს ერთიან დააბნევს: თავის დედაენაზე სწავლაც გაუძნელდება და რუსულსაც ვერ ისწავლიან რიგიანათ. ბ. მჭედლიძის დანაშაული ისაა, რომ მას თვით კი არ უნდა გაეცხადებია სურვილი ბ. გროზდოვისათვის პირველ განყოფილებაში გაკვეთილის მიცემის რუსულათ, პირიქით ინსპექტორსაც რომ ებძანებია, მაშინაც ვალდებული იყო უარი ეთქვა ასეთი გაკვეთილის მიცემაზე. ბ. მდივანი მოგვითხრობს, რომ გოგებაშვილიც არა სცნობს საჭიროთ ნაცნობ საგანთა სახელების ქართულათ თარგმნასო. აი, აქ იხლართება მახეში ბ. მდივანი. დაწერილს გაგება უნდა. როცა ამას ამბობს გოგებაშვილი, მას სულ სხვა ცოდნის ბავშები ყავს სახეში და არა ისეთი, როგორიც კურსებზე ყავდათ პირველ განყოფილებაში. მას სახეში ყავს ისეთი ბავშები, რომელთაც კაი ხნის შესწავლილი აქვთ თავის ენაზე წერა-კითხვა, მათ ირგვლივ შკოლასა და შკოლის გარეთ არსებულ საგანთა აღწერა და შედარებაც შეუძლიათ თავისუფლათ. უსწავლელ ბავშთა ისეთ მომზადებას, თქვენც, კარგათ მოგეხსენებათ, სჭირდება არა ნაკლები ოთხი ხუთი თვისა. იმ კურსებზე კი ისეთი მაგალითი მოახდინეთ, რომ თვენახევარში შესძლით ბავშების ასე მომზადება-განვითარება? იქნებ, ბ. გროზდოვის ახალი „პლანი“ დაგეხმარათ? ამ რიგათ ბ. მჭედლიძემ დაარღვია 1881 წ. სამოსწავლო საცოდავი პლანი და სრულებით განახორციელა ბ. გროზდოვის პლანი.

ვინც ყრუ არაა და თვალში იხედება, გაიგებდა, რომ ბ. გროზდოვი ვერ ითმენს 1881 წ. პლანს, იმას ცთილობს, რომ ჩვენს შკოლებში იმისი ხსენებაც არ იყოს. მთელი 1912/13 წლის განმავლობაში ის ძლიერ ცთილობდა დაერწმუნებია ან აეძულებია მასწავლებლები, რომ შუა ოკტომბერში დაეწყოთ რუსულის სწავლება თუ მანამდი არა, როცა ქართული ანბანიც კი არ ექნებათ გავლილი. ამას ცთილობდა ის და მიზანსაც მიაწია, როცა ბ. მჭედლიძემ თვენახევრის სწავლებას შემდეგ რუსულათ მისცა გაკვეთილი. ამ კურსებზე ბ. მჭედლიძემ და სხვებმაც დაადასტურეს გროზდოვის ახალი პლანი.

მეორე:—წარმოვიდგინოთ—პირველი განყოფილების ბავშები მომზადებული არიან, რომ რუსულის სწავლას ხელი მიყონ. თქვენ კი მიდიხართ და როცა პარტზე უჩვენებთ და ეკითხებით რუსულათ სახელს, მერე სამ სიტყვას ერთად, როგორც ბ. მდივანი სწერს, უთარგმნით ქართულად (სდგას, ძევს, და ანუ) ისე მშრალათ. თქვე დალოცვილებო. გოგებაშვილის მეთოდიკა თუ წაიკითხეთ, ლექსიკური განყოფილება რომ იწყება პირველ ნაწილში, იმის ზედა სათაური რისთვის არ დაგინახავთ, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ ვარჯიშობა რუსული სიტყვების, წინადადებისა და მოთხრობათა შესათვისებლათ უწინარეს უნდა ხდებოდეს თვალსაჩინო თარგმნითი მეთოდის საშვალებით, ნუ დაიზარებთ, ჩაიხედეთ და წაიკითხეთ ეს ადგილი. ბ. მჭედლიძე კი ასე არ მოქცეულა, ისიც პირველ გაკვეთილზე, როცა რუსულს იწყებს. ასეთი მეთოდი სწავლებისა, რომელსაც ბ. მჭედლიძე ხმარობდა' არის უახლოესი მეზობელი მუნჯური მეთოდისა. აქ დარღვეულია პრინციპი თარგმნითი მეთოდისა. ეს მეორე დანაშაული.

ახლა გადავიდეთ მესამე განყოფილებაში. ლექსი „Школьникъ“, ამ ცოდნის მქონე ბავშებისთვის ნაადრევათ უნდა ჩაითვალოს. აქ დარღვეულია გოგებაშვილის მიერ დალაგებული მასალის სქემა, რაც გროზდოვს ძლიერ სწყუროდა. მჭედლიძე მაშინაც ღებულობს კონსპექტში მხოლოდ სამ სიტყვას, მიუხედავათ იმისა, რომ სხვა სიტყვაც და აზრიც ბევრია იმ ლექსში, რაც საჭიროებს გადათარგმნას, მას ის სიტყვებიც არ გადაუთარგმნია. აქაც მუნჯური მეთოდის მეზობლობაა, და ღალატია თარგმნითი მეთოდის პრინციპისა.

მე ვლაპარაკობ, რომ მთელი კურსების მსვლელობა, მჭედლიძის კონსპექტი და გაკვეთილი გროზდოვის პლანს ადასტურებს. უარყოფილია 1881 წ. პლანი და პრინციპი თარგმნითი მეთოდისა! ამას ჩასჩიჩინობდა ბ. გროზდოვი ყველა მასწავლებელს, ამას იცავდა კურსებზეც, და ამას ასრულებს ბ. მჭედლიძეც. მიკვირს, რამ აიძულა ბ. მდივანი, რომ ასეთი წერილი მოათავსა?! **მოკეთე.**

## სასამართლო.

**ოზურგეთის საფოშტო-სატელეგრაფო კანტორიდან 128 ათასი მანეთის გატანის საქმე.**

ყალბი საბუთებით ოზურგეთის კანტორიდან ფულის გატანის საქმის განხილვამ თითქმის მთელ კვირას გასტანა. ამ დროს განმავლობაში სასამართლოში მოწმების ჩვენება არ იყო მაინცადამაინც საყურადღებო. რადგანაც ოთხ ბრალდებულს გარდა თითქმის ყველამ აღიარა დანაშაული, სასამართლოს ყურადღება მხოლოდ იმისკენ იყო მიმართული, რომ ამ ოთხ ბრალდებულის (საკანტროლო პალატის მოხელეთა) მონაწილეობა გამოერკვია. მოწმების ჩვენებით და ექსპერტების გამოკვლევით დამტკიცდა მხოლოდ, რომ გიორგი ნაცვლიშვილი დამნაშავე არ არის. მხოლოდ დანარჩენების შესახებ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, საქმე ისევ გამოურკვეველია. სხვათა შორის, ფრიად საინტერესოა ზოგიერთი მოწმის ჩვენება იმის შესახებ, თუ რა წესები სუფევს სახელმწიფო დაწესებულებაში საკანტროლო პალატაში; ამ მხრით ფრიად საყურადღებოა თფილისის საკანტროლო პალატის რეგისტრატორის თანაშემწის მადალაშვილის ჩვენება, იგი ამბობს: 1910 წელს კონტროლის საფოშტო განყოფილებაში მოსამსახურე კობეშავიძე ხშირათ შემოდიოდა რეგისტრატურაში და ათვალიერებდა შემოსულ საბუთებს და ბლანკებს. განსაკუთრებით მას აინტერესებდა ოზურგეთის საფოშტო-სატელეგრაფო კანტორის ბლანკები, ამის შესახებ მოწმეს საკანტროლო პალატის გამგესათვის გაუცხადებია, რომელსაც მისთვის ამის გამო მკაცრი შენიშვნა მიუცია. ხუთ დღეს შემდეგ კი სამსახურიდან დამითხოვესო. გაზეთებისთვის ცნობებს დასაბეჭდათ "ვაძლევდით მე და ბრალდებული ალექსანდრისკიო. მოწმის ღრმა რწმენით, ბრალდებულთ ალექსანდრისკისა და ნაცვლიშვილს არავითარი ბრალი არ მიუძღვისთ. თუმცა დანარჩენ მოწმეთაც გარკვევით მეტი არა უთქვამთ რა, მაგრამ შთაბეჭდილება კი ყველას ისეთი დარჩა, რომ დანაშაულობა ბევრს უფრო ძველ მოხელეს მიუძღვის, მაგრამ „განგების“ წყალობით თავი გამოიძვრინეს საქმიდან. მოწმების ჩვენების ჩამორთმევა 15 ოკტომბერს დასრულდა, თუთხმეტსავე დაიწყო ბრალდებლისა და დამცველების კამათი, რომელიც მხოლოდ 16 ოკტომბერს, ნაშვადღევის ორ საათზე დასრულდა. ბრალმდებლის აზრით ყველა იღებდა მონაწილეობას და ამიტომ ყველას უმთავრესი სასჯელი ეკუთვნის. დამცველები იმ ბრალდებულთა, რომელთაც სიმართლე გულახდით აღიარეს, სასჯელის შემსუბუქებას თხოულობდენ. საკანტროლო პალატის მოხელეთა დამცველები კი—ბრალდებულთა გამართლებას. სასამართლო პალატა სათათბიროთ 2 ს. და 15 წუთს გავიდა და განაჩენი მხოლოდ $5\frac{1}{2}$ საათზე გამოაცხადა, რომლითაც დამნაშავეთ იქნენ ცნობილი და მიესაჯათ: ოზურგეთის საფოშტო-სატელეგრაფო კანტორის ყოფილ გამგეს ნიკოლოზ ასათიანს, თფილისის საკანტროლო პალატის კანტორის მოსამსახურეებს. ტიხონ ალექსანდრისკისა, კოსტანტინე ტრეესკოვსკის და პავლე პლატკოვსკის, ყოველივე ღირსებისა და ქონების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 2 წლ. და 8 თვით; იონა კობეშავიძეს—2 წლის საპყრობილე; ნესტორ ქიქოძეს, იოსებ მაკაცარიას და ივანე მახარაძეს—პატიმართა გამასწორებელ რაზმში ორ-ორი წლით გაგზავნა. გიორგი ნაცვლიშვილი კი სასამართლომ უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა.

## წერილი რაჭიდან. *)

ბევრი იწერება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წრევანდელი შიმშილობის შესახებ, მაგრამ საიდანაც უფრო ბევრი უნდა დაწერილიყო, ე. ი. რაჭიდან ერთი კრინტიც არავის დაუძრავს, თითქო რაჭა შიმშილობისგან უზრუნველყოფილი იყოს. მკითხველს კარგათ მოეხსენება რაჭის მიწის სივიწროვე, მთელ მაზრაში ძალიან ცოტა გამოერჩევა, რომ კაი მოსავლიან წელიწადსაც უყიდველი პურნახულით გაიტანოს ოჯახი, თვარა როცა გვალვიანი წელიწადია, მაშინ ხომ ორი თვის საზდოც არავის მოსდის.

კაცმა სიმართლე უნდა სთქვას, გავლილი სამი წელიწადი გვარიანი მოსავლიანი წელიწადი იყო. რაჭას ხშირათ აწვდის სიმინდს იმერეთი და სალიგვერდა. წასულ წლებში მაინცადამაინც არც ძვირათ იყიდებოდა შემოტანილი სიმინდი. წრევანდელი წელიწადი სწორეთ დაღუპული იყო რაჭველებისთვის. ხანგრძლივმა გვალვამ რაჭველი მუშა ხელცარიელი დასვა. სამმა თვემ ისე გაიარა, ციდან ლამი არ გადმოვარდნილა. შეუყურებდა საწყალი მუშა ცას, მაგრამ ცა ისე გაძუნწდა, წვიმას არ იმეტებდა. როგორც იქნა, გაავდარდა აგვისტოს შუა რიცხვებში, მაგრამ როგორც მკვდარს აიაზმა ვერ გამოაუბრუნებს, ისე გამხმარ სიმიდს წვიმამ ველარ გამოაბრუნა. საშინელმა გვალვამ პურსაც მაშინ მოუსწრო როდესაც მარცვალს იდებდა, გვალვამ მარცვალჩაუდებელი პური ძალზე ახუხა და გააფუჭა, დარჩა მუშა ხალხი სრულიად უიმედოთ. სხვა დროს თუ იმედი იყო იმერეთიდან სიმიდის გადმოტანისა, როგორც ვიცით, წელს იმერეთსაც შიმშილობა არ ასცდება, რაღა ღონე უნდა იხმაროს რაჭველმა მუშამ შიმშილს წინაამდეგ. ხშირათ რაჭაში ოკტომბრის გასულს დასდებს ხოლმე თოვლს და აპრილის გასვლამდი გზები შეკრულია. ამისთანა დროს ფული ბევრიც რომ ექნეს კაცს, გასაყიდს ველარ იშოვის,

**განო ჭიჭინაძე.**

---

*) ესვე კორესპონდენცია ავტორს „სახ. გაზ.“ გაუგზავნია და იქაც არის დასტამბული. რედ.

რედაქ.-გამომცემელი **გრ. ერ. ჭელიძე.**

კ. ოცხელისა და ამხ
წიგნის მაღაზიამ

(ქუთაისში) მიმდინარე წელს ხელი უწყო მრავალს სასალხო ბიბლიოთე წიგნების არჩევითა და გამოწერით. განაგრძობს ამასვე—ადგენს ბიბლიოთ კებს და აძლევს წიგნებს მეტათ სალ თიანი პირობებით!

**აქვე მოიპოვება შემდეგი წიგნები:**

1. გუთანი, ქართული სახელმძღვანელო — — ფ. ყდით 85
2. ქვარიანი, საქართვ. ისტორია 40
3. ყუბანეიშვილი, საღვთო სჯული 30
4. ნიკოლაიშვილი, მოკლე ქართული გრამატიკა — — 20
5. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა 60
6. მისივე, მოკლე ქართული გრამატ. 20
7. რობაქიძე, სამშობლოს აღწერა 50
8. დათეშიძე, ქართული დედანი 25

ყველა ამ წიგნზე დათმობა 25 პრ ცენტია.

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე**
**წელიწადი მეორე**
1913
# იმერეთი

**გაზეთის ფასი:**
ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ“**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

**გ. გორდაძისა და ს. წერეთლის**

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65. № 12.

**ახალი უვნებელი საშვალება**
**რძე პირსახისათვის „ემეტე“**
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში, ლიბიხის აფთიაქი, ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სადავათო.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.